დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება

განკარგულება:**g-109. 109230896**

თარიღი:**30/03/2023**

,,დმანისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ ქონების (ფართი) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 01 აგვისტოს Ng-109.109222132 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის პირველი პუნქტისა და ,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის საფუძველზე დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. ,,დმანისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ ქონების (ფართი) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 01 აგვისტოს Ng-109.109222132 განკარგულებაში შევიდეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

   ,,1.მიეცეს თანხმობა დმანისის მუნიციპალიტეტის მერს, გადასცეს უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, დმანისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. დმანისში, წმინდა ნინოს ქუჩა N56-ში მდებარე შენობის (ს/კ 82.01.46.081) პირველ სართულზე არსებული 197,57 კვ.მ ფართი, დარბაზი 394,31 კვ.მ ფართი, მე-2 სართულზე მდებარე 220,8 კვ.მ ფართი, სარდაფი 60 კვ.მ ფართი, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი 134,5 კვ.მ (ს.კ 82.01.46.081) და წმინდა ნინოს ქ. N58-ში მდებარე 303 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს.კ 82.01.46.786) სსიპ ზინაიდა კვერენჩხილაძის სახელობის დმანისის პროფესიულ სახელმწიფო დრამატულ თეატრს მისი არსებობის ვადით.“.

2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე;

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბოლნისის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (ქ. ბოლნისი სულხან საბას ქ. N113).

პაატა ყულიაშვილი

დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი